"ენძელა"– თბილისის "დინამოს"

სოჭში დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა უძლიერესი საკლუბო გუნდების საგაზაფხულო საკავშირო შეჯიბრების – "ენძელას" თავის გათამაშების ფინალურმა მატჩმა. როგორც ცნობილია, ერთმანეთს ხვდებოდნენ თბილისის "დინამოსა" და დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" ოსტატთა კოლექტივები. ბრძოლა ძალზე მწვავე და დაძაბული გამოდგა. შესვენებამდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია წარმატებას. მეორე ტაიმში თბილისელთა ერთ–ერთი იერიში "დნეპრის" კარის აღებით დაგვირგვინდა: ბურთი 63–ე წუთზე გაიტანა მეტრეველმა. ამრიგად, "ენძელას" თასი თბილისის "დინამომ" მოიპოვა.

ლელო 30.03.1969 წ.